ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1926750

ნომერი: AR1308862

თარიღი : 11.05.2015

გაცემის თარიღი : 01.06.2015

გაცნობის თარიღი : 02.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქაროსანიძე ირინე პ/ნ 01030002617
- თბილისი ნინოშვილის ქუჩა #24ბ

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. #57–ში არსებულ შენობაში ჩასასვლელი კიბის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ არის სრულად წარმოდგენილი სამსახურის 15.05.2015 წლის №1894067, 20.05.2015 წლის №1906927 და 22.05.2015 წლის №1912337 გადაწყვეტილებებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია და ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, დამატებით გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ:

1. არ არის წარმოდგენილი კიბის ესკიზური ნახაზი (გეგმა, ჭრილი) შესაბამისი ზომების, მანძილების და ნიშნულების ჩვენებით, 2009 წლის 27 მარტის N 4–13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად;
2. წარმოდეგინილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო კიბე სცდება საკადასტრო საზღვრებს; საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.